პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 თებერვალი სამშაბათი 1970 წელი 2 კაკ.

გამოცემის 40-ე წელი

№ 39 (14643)

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

დავალება—გადაჭარგებით

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც საიუბილეო წლის პირველ თვეში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება შეასრულა 118,1 პროცენტით, ხოლო რეალიზაციის მოცულობისა — 12,8 პროცენტით.

ტრაქტორმშენებლებმა ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს გეგმის გადამეტებით გაუგზავნეს 3 მოდერნიზებული ტრაქტორი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დაკვეთით დამატებით გამოუშვეს 180 ცალი უნაგირა მოწყობილობა.

ახალი წლის დამდეგიდან ქარხანაში ბევრი ტექნიკური სიახლე დაინერგა. № 3 მექანიკურ უბანში დამონტაჟეს კოორდინატული შიგამრჩხავი აგრეგატი, ხოლო ამწყობ უბანზე მთლიანად დამამავრეს ტექნოლოგიური ხაზების მექანიზაცია, რითაც მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.

ᲕᲘᲑᲠᲐᲪᲘᲘᲗᲐ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი ენთუზიაზმით შრომობს, რათა ღირსეულად შეხვდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. მიწისქვეშა ჰორიზონტებიდან შეუფერხებლად მოედინება ძვირფასი სათბობის ტონები. მეშახტეები იბრძვიან ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელის მოპოვებისათვის. ამ შეჯიბრებაში ჩაება კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის იანვარში ჩვენმა ბრიგადამ საგრძნობლად აამაღლა სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელი. ახლა ჩვენ შედარებით ნაკლებ დროს ვხარჯავთ შპურების ბურღვაზე, გამომუშავებულ ი სივრცის გადამაგრებასა და სხვადასხვა დამხმარე სამუშაოთა შესრულებაზე. ამაში დიდად დაგვეხმარა მომიჯნავე პროფესიების დაუფლება, რისთვისაც ბევრი ღონისძიება ჯერ კიდევ შარშან განვახორციელეთ. შედეგმა ნელს იჩინა თავი. ჩვენი ბრიგადის ყველა წევრი ახლა 3-4 მომიჯნავე პროფესიას ფლობს. ბუნებრივია, შრომის ნაყოფიერება ნელს უფრო მაღალი იქნება. ამას ადასტურებს იანვარში გაწეული მუშაობის შედეგები. ბრიგადის თვითეული წევრი გეგმით გათვალისწინებული 10 ტონის ნაცვლად ცვლაში უკვე 18 ტონა ქვანახშირს ანგრევს.

ლ. ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔ,
ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲨᲗᲐᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

Правда

16 თებერვლის მოწინავე

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ პარტიის პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძალა ის არის, რომ იგი გამოხატავს კომუნიზმის გზით მიმავალი მთელი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ძირეულ ინტერესებს და მომწიფებულ მოთხოვნილებებს.

პოლიტიკა მილიონობით ადამიანის ფაქტიური ბედია, იგი ხალხის საქმე უნდა იყოს, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. პარტია, რომელიც იმუშავებს და თანმიმდევრულად ახორციელებს თავის პოლიტიკურ კურსს საშიშაო საქმეებში და მსოფლიო ასპარეზზე, განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინის იდეებით. მის ნათელ, მტკიცე, პრინციპულ პოლიტიკას ღრმა გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ მასები. ხალხის ეს მხარდაჭერა კვლავ მკაფიოდ გამოვლინდა იმით, რომ საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ახალი შემოქმედებითი ძალები და ენერგია შემატეს მათ. კომუნისტებმა, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მრავალმილიონიანმა მასებმა მოქმედების საბრძოლო პროგრამად დაიხახეს ის დასკვნები და ამოცანები, რომლებიც პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ლ. ი. ბრეჟნევმა.

დღეს პლენუმის შედეგები საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ისინი ყოველმხრივ განიხილეს აქტივის კრებებზე, პარტიული კომიტეტების პლენუმებზე. ახლა კი მათ განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. ამ შედეგებს მიეძღვნა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ შემდგარი პლენუმები.

იმ უპირველესი ამოცანებისა და მოთხოვნების ღრმა განმარტებას, რომლებიც პარტიამ დაგვისახა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მშრომელები დავრაზმოთ ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, განუხრელად განვახორციელოთ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ლენინური გენერალური ხაზი.

ჩვენი საზოგადოება ძლიერია მასების შეგნებულობით, იგი თავს გაართმევს ყოველ საქმეს ისეთ პირობებში, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფრის გამო შეუძლიათ მსჯელობა და ყოველივეს შეგნებულად აკეთებენ. სწორედ ეს არის მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მზარდი საზოგადოებრივი აქტივობისა და შრომითი ენთუზიაზმის წყარო. სწორად განვუმარტოთ მშრომელებს პარტიის პოლიტიკის პრინციპები, ჭრილი და მიზნები — ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა დამაჯერებლად ვუჩვენებდეთ, რომ პარტიის მიერ დასახული გეგმები მეცნიერულად არის დასაბუთებული, უთუოდ რეალურია და, ამასთან ერთად, არ მიეჩქმალოთ ის სირთულენი, რომლებიც დაკავშირებულია ამ გეგმების განხორციელებასთან, მთელი სისრულით ცხადვყოთ კომუნიზმისათვის ბრძოლის სიდიადე და განვამტკიცოთ მასების მისწრაფება საბოლოოდ გაიმარჯვონ ამ ბრძოლაში.

თავის პოლიტიკაში პარტია ხელმძღვანელობს იმით, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა რთული და მრავალმხრივი პროცესია. ზერელე, „გაიოლებული" წარმოდგენა ამ პროცესის შესახებ, მიდრეკილება ქნიდნენ იდეალურ სურათებს—არ შეესაბამება კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის ხასიათს, პარტია მოგვიწოდებს თვალს არ ვარიდებდეთ სიძნელეებს, რომლებიც წარმოიშობა ჩვენი გიგანტური შემოქმედებითი შუამავის დროს, ყოველთვის ვხედავდეთ, ობიექტურად ვაფასებდეთ და მტკიცედ ვძლევდეთ მათ. პროპაგანდის ყველა ფორმა და საშუალება, პოლიტიკური განათლების მთელი სისტემა ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ მასებს სწორად ეხმოდეთ კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი პერიოდის ამოცანათა სირთულე, უფრო ღრმად გიგონონ, რომ პარტიის ლენინური კურსი თანამედროვე პირობებში სწორი და ქმედითია.

ახალი ედუარ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდას. მომარაგებენ რა ამ პოლიტიკურ და თეორიულ დოკუმენტს, საბჭოთა ადამიანები მასში პოულობენ იმის ახალ დადასტურებას, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში სულ უფრო ეზრდება შეგნებული, მორგანიზებელი ავანგარდის როლი. თეზისებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კომუნისტური პარტია, რომელიც ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას და ბრძოლის გამოცდილებას, იმუშავებს პოლიტიკურ ხაზს, ხელმძღვანელობს საზოგადოების ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებას. ანალიზს უკეთებს რა სოციალური პროცესების ხასიათს და განაზოგადებს რა მასების ცოცხალ პრაქტიკას, სახავს რა წინსვლის გზებს, იგი ავლენს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ახალ შესაძლებლობებს. თვითდამშვიდებისაგან მას იცავს ისტორიული პასუხისმგებლობისა და ხალხის წინაშე მოვალეობის შეგნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ახალი ძალით გამოხატა კომუნისტთა ერთგულება ლენინის ანდერძისადმი — არ შეუიგდნენ უდარდელობის, ყოყოჩობის სულ მცირე გამოვლინებებსაც კი. პლენუმის მიერ დასახული ამოცანები მახლობელი, გასაგებია მასებისათვის, ისევე როგორც პარტიის მთელი პოლიტიკა, რომლის მიზანია წინსვლა, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის გაზრდა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სოციალისტური სისტემის უპირატესობათა უფრო სრული გამოყენება ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და საშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანისათვის პარტიის პოლიტიკა ღვიძლი საქმეა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც ხელს უწყობენ მის წარმატებითს გატარებას მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. აქ უდიდესი როლი უნდა შეასრულონ საბჭოებმა და მათმა ორგანოებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა, ჩვენმა სხვა მასობრივმა ორგანიზაციებმა. ქალაქისა და სოფლის მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ საჭიროა ძალღონის სრული დაძაბვა, მაღალი ორგანიზებულობა 1970 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა შესასრულებლად, საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად და წელს უხვი მოსავლის მისაღებად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისეთი მოთხოვნები, როგორიც არის სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, დავალებული ხაქმისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერება, მომჭირნეობის რეჟიმისა და ყაირათიანობის უმკაცრესად დაცვა, მთელი რეზერვებისა და რესურსების უკეთ გამოყენება საზოგადოების საკეთილდღეოდ შეესაბამება ხალხის საარსებო ინტერესებს. ამ მოთხოვნების ფართო პროპაგანდა და განუხრელად შესრულება პრაქტიკაში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის წინახანებში, როცა სოციალისტური შეჯიბრება ამ ნათელი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო მოძრაობად გადაიქცა, ჩვენი ქვეყნის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ახლა განსაკუთრებით მტკიცე და მძლავრია, მილიონობით კომუნისტი, საბჭოთა პატრიოტი შთაგონებითა და თავდადებით ახმარს მთელ თავის ძალღონეს შემოქმედებითს შრომას, ახორციელებს პარტიის პოლიტიკას — კომუნიზმის აშენების პოლიტიკას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘ

ᲞᲘᲐᲜᲣᲠᲨᲐᲮᲢᲛᲨᲔᲜᲘᲡ სამმართველოს კოლექტივმა წარმატებით დაასრულა ხუთწლედის მეოთხე წელი. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე აითვისა 4:068 ათასი მანეთი, გეგმის გადამეტებით შეასრულა 835 ათასი მანეთის სამუშაო. მრომის ნაყოფიერება გაზრდილია 19 პროცენტით, მოგებამ 70 ათას მანეთს გადააჭარბა, სამუშაო ხელფასი გაიზარდა 4 პროცენტით.

მუდმივი გადამაგრებით გაყვანილია 5.309 გრძივი მეტრი გვირაბი, რაც დავალებაზე საგრძნობლად მეტია. სამმართველოს კოლექტივმა მომაზადა და საექსპლოატაციოდ გადასცა რგანის მაღარო, რომელიც წელიწადში 150 ათას ტონა მარგანეცს გამოუშვებს. მარგანტრესტის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მონაწილეობით აშენდა ახალი ითხვისის მაღაროს მეორე რიგი, რომლის წარმადობა წელიწადში 200 ათასი ტონა მარგანეცია. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე ზედა რგანის მაღარო და კლინინის სახელობის მაღაროს მეცხრე უბანი, ორივე ეს საწარმო ერთად 200 ათას ტონა მადანს გამოუშვებს.

შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში ორჯერ პირველი ადგილი მოვიპოვეთ. მეორე კვარტალში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა დავიმსახურეთ, ხოლო მესამე კვარტალში სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და მშენებელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა. უკეთესი იყო მეოთხე კვარტალის მაჩვენებლები.

კარგად დავიწყეთ ახალი წელიც. გადაჭარბებით შეგასრულეთ იანვრის დავალება. თავდადებულად მუშაობენ რ. ზუბიაშვილის, დ. წერეთლის, მ. სარალიძის, პ. სუკაჩის, გ. მახათაძის კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებიც ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან.

გაზეთ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" საგუშაგო: ზ. ᲐᲮᲐᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ნ. ᲙᲐᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ს. ᲐᲑᲔᲡᲐᲫᲔ.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ გამოიყენონთვითეული სამუშაო დღე, წუთი, ასეთი დევიზით შრომობს თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივი.

სულ ახლახან ელექტროსამონტაჟო, საფურგლო და სარემონტო-საინსტრუმენტო სამეკოლეგიში ბევრი დრო იხარჯებოდა სამუშაო ადგილებთან მასალების, არმატურისა და ტარის მიტანაზე. ახლა წინასწარი განცხადების საფუძველზე ცენტრალიზებული წესით ყველა მასალა სამუშაო ადგილზე მიიტანეს, ხოლო სამეკოლეგიო უბნებში უბრუნველყვეს საჭირო რაოდენობის შესაცვლელი ტარით.

ᲢᲕᲘᲠᲗᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მაგისტრალის რკინიგზელთა შორის დღითიდღე ფართოვდება შეჯიბრება მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვისათვის, რომ დაზოგილი მასალით იმუშაონ ვ. ი. ლენინის იუბილეს დღეს.

რკინიგზის თბილისის განყოფილების, სამტრედიის სავაგონო და ხაშურის სალოკომოტივო დეპოს, ნავთლუღის სადგურის ტექნიკური შემოწმების პუნქტისა და სხვა ობიექტების კოლექტივებმა გადასინჯეს ადრე ნაკისრი ვალდებულებანი და გადაწყვიტეს დაზოგილი მასალით იმუშაონ არა ერთი დღე, როგორც ეს ვალდებულებით იკისრეს, არამედ 22-დან 30 აპრილამდე.

ლენინის იუბილეს აღსანიშნავად ახალი გადიდებული პროგრამით გადაწყვიტეს იმუშაონ მაგისტრალის მოძრაობის სამსახურის მუშაკებმაც.

მაგისტრალის ყველა სადგურსა და დიდ სარკინიგზო კვანძებში სახალხო-სამეურნეო ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის ზრდის საშუალო სადღეღამისო ტემპი ამჟამად გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ხოლო სახალხო-სამეურნეო ტვირთის დამატებით დატვირთვისათვის მარტო იანვარსა და თებერვლის პირველ დეკადაში განთავისუფლებულია ექვსი პროცენტით მეტი ვაგონები, ვიდრე წინათ. (საქდესი).

ᲕᲐᲓᲐᲗᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. (საკ. კორ.). ხე-ტყის დამზადების ბაზის კოლექტივი შრომითი წარმატებებით ხვდება დიდი ლენინის იუბილეს. იანვრის დავალება აქ ერთი კვირით ადრე შესრულეს, გეგმის გადამეტებით დაამზადეს და გამოზიდეს 130 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა.



ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: აკაკი და გივი ტაბიძეები მუშაობენ დროს.
ფოტო შ. ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡᲘᲡ.

ᲜᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ობრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში მუყაითი შრომით სახელი გაითქვეს ძმებმა აკაკი და გივი ტაბიძეებმა. აკაკი მექანიკური სახელოსნოს ტექნიკური კონტროლორია, ხოლო გივი — საგრეხი საამქროს შეკეთებელთა ბრიგადის ოსტატი.

როცა ლენინურ ვახტზე დადგნენ, ძმებმა ტაბიძეებმა გაღებულება იკისრეს დღიური ნორმები ყოველთვის გადაჭარბებით შეესრულებინთ. ისინი სიტყვას პირნათლად ასრულებენ; 130-140 პროცენტი — ასეთია მათი დღიური ნორმების შესრულების მაჩვენებელი.

ახლა აკაკი და გივი ტაბიძეები დროს უსწრებენ, უკვე მიმდინარე წლის აპრილს ანგარიშში მუშაობენ. მათი ახალი გაღებულებაა ბელადის საიუბილეოდ ნახევარი წლის დავალების შესრულება უპატაკონ სამშობლოს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: აკაკი და გივი ტაბიძეები მუშაობენ დროს.
ფოტო შ. ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡᲘᲡ.

ᲞᲐ. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირ-იაპონიის IV ეკონომიური თათბირის მონაწილეთა ჯგუფი იაპონიის საავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის **სიგეო ნაგანოს** მეთაურობით.

ა. ნ. კოსიგინმა და საბჭოთა კავშირ-იაპონიის IV ეკონომიური თათბირის მონაწილეთა შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივების საკითხები.

საუბარი მეგობრულ გითარებაში მიმდინარეობდა.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ᲤᲠᲣᲜᲖᲔ, 16 თებერვალი. (საკდესის კორ.). პირველ ათას ბინაში შესახლდა ხალხი ყირგიზეთის დედაქალაქის მეექვსე, ყველაზე დიდ მიკრორაიონში, რომელიც აშენდა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ალატოს ქედის ძირში. ამ მიკრორაიონის საცხოვრებელი ფართობია 120 ათასი კვადრატული მეტრი. ეს მიკრორაიონი მაქსიმალურად კეთილმოწყობილია. აქ არის ხელოვნური წყალსატევები და დასასვენებელი ზონები, დიდი კორომი, ოლეები, საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრი, პოლიკლინიკა.

ხუთწლედის დამდეგიდან ყირგიზეთის დედაქალაქის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს დაახლოებით 350 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, წელს კი ციფრი ერთნახევარჯერ გაიზრდება.

ᲩᲐᲠᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ „ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ"

ᲘᲫᲔᲕᲜᲘ. პროგრამული მართვის ვერტიკალური სფრეზერო ჩარხების სერიული წარმოება დაიწყო გოტკინსკის მანქანათმშენებელ ქარხანაში. სამი ასეთი ჩარხი ფუნ მუშაობს ამ საწარმოში. მათ მომსახურებას უწევს ერთი მუშა. მისი მოგალიბება დამმაგროს ნამზადი, ჩაუყენოს დამპროგრამებელი მაგნიტური ლენტი და თითქმის დაანარიოს კბილს „გაშვება". ყოველივე დანარჩენს ჩარხები თვითონ ადამიანის დაუხმარებლად შეასრულებენ. (საკდესის კორ.).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ახლოს შენდება სომხეთში პირველი თევზკომბინატი. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს სამი ათას ტონაზე მეტ ცხელად და ცივად შებოლილ თევზს, ნახევარფაბრიკატებსა და სხვა ნაწარმს.

აქ გადასამუშავებლად ჩამოტანენ ოკეანისა და ზღვის თევზს, აგრეთვე სეანსა და ხელოვნურ წყალსატევებში მოშენებულ კობრს, თეთრ ამურს, კალმახსა და სხვ. (საკდესის კორ.).

რუსეთის სფსრ კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენელთა კრება

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ფედერაციის ყველა ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის კოლმეურნეობათა საბჭოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ 16 თებერვალს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, რათა განიხილონ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგები და აირჩიონ სრულიად რუსეთის კოლმეურნეთა საბჭო.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, დ. ს. პოლიანსკი, თ. დ. კულეკოვი, სკკპ ცენტრალური საარეგიონო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სრულიად საკავშირო ალკა (ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ო. შეურატოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები.

შესავალი სიტყვით კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ვორონოვმა.

მოხსენებაში „კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ" გაკეთდა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმოადგილემ კ. ვ. პისანმა.

კოლმეურნე გლეხობა, აღნიშნეს კრების მონაწილეებმა, ენთუზიაზმით შეხვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიისა და კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებს და მტკიცედ დაისახა შესასრულოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ახალი დიდი ამოცანები, აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

კრების მონაწილეებმა აირჩიეს რუსეთის სფსრ კოლმეურნეობათა საბჭო ასოცი კაცის შემადგენლობით.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ვორონოვმა. კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲜᲝᲢᲔᲑᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ „ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲝᲛᲘ"

ᲝᲩᲠᲝᲡ მედალზე გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ალექსანდრე ვასილის ძე ალექსანდროვის პროფილი და მისი ავტოგრაფი. მეორე მხარეზე გამოსახულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი ნამგლითა და ოროთი და სიმღერის „წმინდა ომის" პირველი ნოტები.

ასეთი მედლები — ერთი ოქროსი და სამი ვერცხლისა ყოველწლიურად 23 თებერვალს საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის დღეს მიენიჭებათ ჰეროიკულ-პატრიოტულ თემაზე დაწერილ ყველა ჟანრის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს. ამის შესახებ ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილებას სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი, საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო.

ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის მედლის მოსაპოვებლად კანდიდატებს დასახელებენ მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროები, კომპოზიტორთა რესპუბლიკური კავშირები, საბჭოთა არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის ჯარის ნაწილები, მუსიკალური თეატრები, საკონცერტო ორგანიზაციები, მხატვრული კოლექტივები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

დამტკიცდა მედლების მომნიჭებელი კომისიის შემადგენლობა. კომისიის თავმჯდომარეა ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ი. მურადელი. (საკდესის კორ.).

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ მოსკოვში ნ. ს. ტიხონოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

1970 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად დასახელებულ კანდიდატურათა განხილვის შემდეგ კომიტეტი შეარჩევს ნამუშევრებს კონკურსში შემდგომი მონაწილეობისათვის. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1920 წლიდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი რწმენიანული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებში, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ამხანაგი

ᲛᲝᲡᲔ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲛᲔᲯᲕᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲣᲕᲔᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲡᲣᲚ უფრო ფართო პოპულარული ხდება სხვადასხვა საწარმოს მიერ გამოშვებული თბილისური სუვენირები. 1963 წლიდან ისინი გამოფენილი იყო ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში და საზღვარგარეთ — პოლონეთში, იაპონიაში, თურქეთში. თბილისში კი პირველად 16 თებერვალს თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს საგამოფენო დარბაზში (ბარათაშვილის ხიდი) გაიხსნა თბილისური წარმოების სუვენირების დიდი გამოფენა.

თავისი ნაწარმი საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანა 24 საწარმომ, რომლებიც უშვებენ სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა მასალის სუვენირებს. აქ წარმოდგენილია ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ფირმა „სოლანი", ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ექსპერიმენტული ფაბრიკა, კულტურის სამინისტროს, სამხატვრო აკადემიის, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების, თეატრალური საზოგადოების საწარმოო კომბინატები, ძხატვრული ნაკეთობისა და სუვენირების ფაბრიკა და სხვ.

დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობენ ლამაზი ძველებური ქართული სასმისები და სხვადასხვა სასმელისათვის გათვალისწინებული თანამედროვე ხის ჭურჭელი, ჭედური ნამუშევრები, სოჯახო სიგნები, სამკერდე ნიშნები, ემბლემები. განსაკუთრებით დიდი წარმატება აქვს სოფელ ლუვანის ხელსაქმეს — ტრადიციულ „ჩითს", ხალიჩებს, ხეზსურულ ტანსაცმელს, ხურჯინს, მატყლის წინდებს და სხვ.

საქდესის კორესპონდენტის თბილისი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: თბილისური წარმოების სუვენირების დიდი ეამოფენის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ს. ᲫᲘᲚᲐᲫᲘ

პარტიული ქრონიკა

პირველ მეცადინეობაზე

ადიგენი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომთან შეიქმნა და მუშაობას შეუდგა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა. ამას წინათ გაიმართა პირველი მეცადინეობა.

სკოლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველი მდივანი ა. მექვაბიშვილი. სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობის ფორმებზე და მეთოდებზე ილაპარაკა სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ი. აფრიამაშვილმა, სკკპ რიგებში მიღების საკითხებზე — რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ა. გიგოლაშვილმა, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე — პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ რ. ცინცაძემ, ხოლო პარტიულ საწევრო შესაგებზე — რაიკომის საჩრდილო კომისიის თავმჯდომარემ ს. ზაზაშვილმა.

ზონალური თათბირი

ახალციხე. სოფელ აწყურში ჩატარდა იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ზონალური თათბირი, რომელსაც აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, პირველად პარტორგანიზაციათა მდივნები ესწრებოდნენ.

მოხსენებით — „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდისა და განმარტებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე

თერჯოლა. (საკ. კორ.). საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომმა მოაწყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების ხელმძღვანელთა, ამხანაგური სასამართლოებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რაიონული თათბირ-სემინარი.

მოხსენებით თემაზე — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების უფლება-მოვალეობანი და მუშაობის ორგანიზაცია“ — გამოვიდა შინაგან საქმეთა თერჯოლის რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი მ. სიგუა. რაიონის სახალხო მოსამართლემ ს. ჯიქიამ თავის მოხსენებაში გააშუქა ამხანაგური სასამართლოების როლი და მუშაობის პრაქტიკა. ხულიგნობასა და სპეკულაციასთან ბრძოლაში საზოგადოებისა და აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს ეხებოდა რაიონის პროკურორის გ. ტაბატაძის მოხსენება.

თათბირ-სემინარზე დამსწრეებს თავიანთი გამოცდილება მოუთხრეს ძვირის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ გ. მუჯირმა, ზედა საზანოს ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ ალ. ჯაფარიძემ, ქვედა სიმონეთის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულის თავმჯდომარემ გ. ხოხიაშვილმა.

კომუნისტი

№ 9 გვერდი, სამშაბათი, 17 თებერვალი, 1970 წ.

სიახლე, ძიება, პასუხისმგებლობა

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მშენებლობაში

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენიანი № 1 ტრესტი რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი სამშენებლო ორგანიზაციაა. მისმა მრავალთაობისანმა კოლექტივმა ისტორიულად მოკლე პერიოდში ააშენა ქალაქი რუსთავი, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყეს წარმოადგენს. რუსთაველმა მშენებლებმა თბილისიც დაამშვენეს ღირსშესანიშნავი ნაგებობებით. მათი მაჯაყვნის მადლი ატყვია ჭიათურას, ბიჭვინთას, ტაშკენტს და ჩვენი დიდი საშობლოს სხვა კუთხეებს.

შარშან მიუხედავად მკაცრი ზამთრისა და მთელი რიგი სხვა ხელისშემშლელი მიზეზებისა, რუსთაველმა მშენებლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ხუთწლედის მეოთხე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა გენერალურ მოჯარადრეთა ძალებით შესრულებულ იქნა 22 დეკემბერს, ხოლო საკუთარი ძალებით — 15 დეკემბერს. გასაკუთრებით კარგად იმუშავეს დიდი ქიმიის მშენებლებმა, რომლებმაც 20 ნოემბერს შეასრულეს მინერალური სასუქების ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობის გეგმა ფულადი გამოსახულებით. საერთოდ ქიმიური მრეწველობის ობიექტებზე წლიური გეგმა პირველ დეკემბერს იქნა განაღდებული. ასამშვენებელ სამრეწველო ობიექტებზე მშენებლობის წლიური გეგმის შესრულების მაჩვენებელი 112 პროცენტს უდრის.

შარშან 1968 წელთან შედარებით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 21,5 პროცენტით. მწყობრში ჩავაყენეთ ათეულ ათასობით ტონა სიმძლავრის ამიაკის ახალი საწარმოები, ქარხანა „ცენტროლიტის“ სადნობი საამქროს პირველი რიგი, საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხნის პირველი რიგი, 41.600 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, პროფტექნიკური სასწავლებელი, 960-ადგილიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, ხრამი — რუსთავის წყალსადენის მეორე რიგი და სხვ.

წარმატება, რომელსაც კოლექტივმა მიაღწია, განპირობებულია იმ საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანებით, რომელიც გამოიწვია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებამ. მშენებელ-მემონტაჟეებმა დიადი თარიღის აღსანიშნავად ახალი სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს და ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ აქციონ.

სოციალისტური ვალდებულების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს მშენებლობაზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვას, სიახლეთა გამოყენებას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. შემოქმედებით ძიებასა და ცდას თავისი ნაყოფი მოაქვს. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვით 3 თვით შემცირდა 9-სართულიანი მაქსიმენტალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხანგრძლივობა, თვითეული მუშის გამომუშავება გაიზარდა ერთნახევარჯერ, მშენებლობის ღირებულება შემცირდა 8,5 პროცენტით.

ანალიზს გუკეთებთ რა მიღებულ შედეგებს, გადავწყვეტეთ მიმდინარე სამეურნეო წელს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია დანერგოთ მსხვილპანელიანი და მსხვილბლოკიანი სახლების მშენებლობაზე, რაც საგრძნობლად გაზრდის მშენებელ-მემონტაჟეთა შრომის ნაყოფიერებას.

რუსთავის მშენებელთა საქმიანობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ აქ კარგად ითვისეს დიდპანელიანი სახლების მონტაჟი უშუალოდ ბორბლებიდან. რას ნიშნავს ეს? სახლსამშენებელო ქარხანაში დამზადებული ნაწარმი სპეციალური მანქანით მიაქვთ სამშენებლო ობიექტზე, რომელსაც არ გადმტვრვირთავენ, პირდაპირ მანქანიდან ახდენენ მათს დამონტაჟებას. და ეს საქმე შეუფერხებლად რომ წარიმართოს, წინასწარ ვამზადებთ სამშენებლო მოედანს, გაგვაკეთებ გზები, ვაწყობთ ყველა სახის კომუნიკაციებს, მშენებლობის ეს მეთოდი შარშან ოქტომბერში შემოვიღეთ. ავაშენეთ ერთი სახლი, ხოლო ორი დამთავრების პროცესშია.

ახლა გადაწყვეტილი გვაქვს მშენებლობის ეს მეთოდი დავნერგოთ დიდი პანელებით ყველა სახლისა და სამრეწველო ობიექტის მშენებლობაზე.

მრავალი სიახლე დაინერგა აგრეთვე სამრეწველო საწარმოების მშენებლობაზე. რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მიერ დანერგილ წინადადებათა შედეგად დაზოგილ იქნა 500 ათასზე მეტი მანეთი.

ცხადია, წარმატებები მართლაც გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს არ გვქონდეს ნაკლოვანებანი მუშაობაში. ტრესტის კოლექტივმა შარშან სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულა სახალხო მეურნეობის იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორში, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყეს წარმოადგენს. რუსთაველმა მშენებლებმა თბილისიც დაამშვენეს ღირსშესანიშნავი ნაგებობებით. მათი მაჯაყვნის მადლი ატყვია ჭიათურას, ბიჭვინთას, ტაშკენტს და ჩვენი დიდი საშობლოს სხვა კუთხეებს.

ორგანიზაცია

...

...

...

ᲯᲘᲠᲝᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲙᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 16 თებერვალი. (საკდესი). ა. ნ. კოსიგინის წერილები დასავლეთის სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელებისადმი ახუ-ზაადელში ისრაელის დანაშულის გამო კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი და აქტუალური ხდება, წერს „ტრიბუნა ლუდუ“, რომელიც განმარტავს კაიროს მახლობლად მეტალურგიულ ქარხანაზე ისრაელის ავიაციის თავდასხმას. როგორც გაზეთი აღნიშნავს, დანაშაულებრივ აქტს ახუ-ზაადელში უნდა ეჩვენებინა ისრაელის ძალა და დაეფასტურებინა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ოთხმხრივი კონსულტაციის ამოოება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხებზე. იგი კიდევ ერთხელ პროვოკაციულად ახუ-ად ადგებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მოითხოვს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენას. საბჭოთა მთავრობის მეთაური მიუთითებს, რომ საჭიროა ისრაელმა შეწყვიტოს დანაშაულებრივი თავდასხმები არაბულ ქვეყნებზე, გაიყვანოს ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან და შეასრულოს უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, ამასთან, აღნიშნავს „ტრიბუნა ლუდუ“, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყოს ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური ავანტიურების ჩაფუშვას, რომლებიც აფართოებენ და აღრმავებენ კონფლიქტს.

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის წერილი ამერიკის შეეერთებული შტატების პრეზიდენტის ნიქსონისადმი, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ვილსონისა და საფრანგეთის პრეზიდენტის პომპიდუსადმი ამ მათ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, თუ რა უადრესად სახიფათო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ისრაელის ხელმძღვანელთა ახალ აგრესიულ ნაბიჯებს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა არაბულ ქვეყნების წინააღმდეგ, ხაზს უსვამს უნგრეთის გაზეთი „ნეპსავა“.

ვითარება მოითხოვს, აღნიშნავს „ნეპსავა“, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს შეიარაღებული თავდასხმა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე და სხვა არაბულ სახელმწიფოებზე. „შესასრულოს უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის გადაწყვეტილებანი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს ხელი შეუწყოს, ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური ავანტიურების ჩაფუშვას.

□ □ □

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲜ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 16 თებერვალი. (საკდესი. პალესტინელი პარტიზანები კვლავ აქტიურად მოქმედებენ ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე.

როგორც-აქ განცხადა პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენელმა, „ფათხის ორგანიზაციის“, „პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა“ და „ალ-ასიფის“ რაზმების პარტიზანებმა ამ ბოლო კვირის მანძილზე განახორციელეს მთელი რიგი ოპერაციები ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ და ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიაყენეს. ღაზის სექტორში „ალ-ასიფის“ პარტიზანებმა ააფეთქეს რკინიგზის ლიანდაგი და შეაჩერეს ისრაელის მატარებლების მოძრაობა ამ უბანზე. „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის“ რაზმებმა რამდენიმე დიდი ოპერაცია განახორციელეს ალ-კარარის პუნქტის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში, ხან-იუნისიდან დირ ალ-ბალიახისკენ მიმავალ გზაზე.

ზაშრის რაიონში (მკვდარი ზღვის რაიონი) რამდენიმე საათს გრძელდებოდა „პალესტინის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის“ პარტიზანებისა და ისრაელის სამხედროელ რაზმის ბრძოლა. პალესტინის ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ბრძოლის შემდეგ გამოაცხადა, რომ ისრაელებს მიაყენეს ცოცხალი ძალის დიდი ზარალი.

გაზეთი „ალ-აჰრამი“ — წერს, რომ პარტიზანთა საქმიანობის გაძტიურების პასუხად ისრაელის სამოკუპაციო ხელისუფალნი აძლიერებენ ტერორს ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. პარტიზანებთან კავშირისა და კომენდანტის საათის დარღვევის საბაბით. ღაზის სექტორში, წერს გაზეთი, ისრაელთა პატრულმა „უმიზეზოდ დაუშინა ცეცხლი ქალებსა და ბავშვების ჯგუფს, ამასთან დახოცა სამი და ბევრი დაჭრა“. დასახლებულ პუნქტებში ბეით-ხანუნასა და ბეთ-ლაჰმში ისრაელებმა დაწვეს არაბთა რამდენიმე სახლი, აგრეთვე მოქალაქეთა ავტომობილები.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **ᲙᲐᲘᲠᲝ,** 16 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს ისრაელის თვითმფრინავების ჯგუფი თავს დაესხა ეგვიპტურ ჯარების პოზიციებს ალ-კანტარისა და ატ-ტინის რაიონებში. ამას იუწყება მენის საგენტო, რომელიც იმოწმებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელს. ეგვიპტის ჯარების საზენიტო არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ისრაელის თვითმფრინავებს და აიძულა უკან დაბრუნებულიყვნენ.

● **სანტიაგო,** 16 თებერვალი. (საკდესი). მიმდინარე წელი ჩილეში დაიწყო სიძვირის განუწყვეტელი ზრდით. როგორც სტატისტიკისა და ცენზების სამმართველო იუწყება, ცხოვრების ღირებულება სახელმწიფოში მარტო თებერვარში 6,8 პროცენტით გაიზარდა. ჩილეს გაზეთები იუწყებიან, რომ კვლავ გადიდდა ზოგიერთი კვების პროდუქტისა და სამრეწველო საქონლის ფასები. მაგალითად, 29 პროცენტით გაძვირდა თევზი და ჩაი, გაიზარდა კერძო სკოლებში სწავლის ქირა, კინოს ბილეთების ფასი.

● **პარიზი,** 16 თებერვალი. (საკდესი). უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მთავრობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური თუ პროფკავშირული საქმიანობისათვის ესპანეთში მსჯავრი დასდეს სულ 18.928 კაცს. ამას იუწყება ფრანს პრესის საგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი.

იუწყებიან, რომ ამჟამად ესპანეთის საპატიმროებში ზის 1.123 კაცი, რომლებიც ან გასამართლებას მოელიან, ან მსჯავრდადებული არიან პოლიტიკური საქმიანობისათვის.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის კაპიტალის შეჭრა ბრიტანეთის კუნძულების ეკონომიკაში, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ინგლისში, მათ შორის თვით პარლამენტშიც.

როგორც გაზეთი „სანდი ტელეგრაფი“ წერს, თემთა პალატის წევრთა დიდმა ჯგუფმა მოითხოვა, რომ ინგლისის ტრეზერი მინისტრმა გეჯგუდ-ბენნმა უახლოეს რამდენიმე თვეში საგულდაგულოდ შეისწავლოს ამერიკის კომპანიების საქმიანობა ინგლისში.

პარლამენტართა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მდგომარეობა ინგლისის ავტომობილსაშენებელ მრეწველობაში, რომლის სამ მეოთხედს ამერიკის შეერთებული შტატები უწევს კონტროლს. ამერიკელთა ხელშია, კერძოდ, ისეთი უდიდესი ფირმები, როგორიცაა „ვოქსჰოლი“, „ფორდი“ და „როტსი“.

გარაუდობენ, რომ ეჯგუდ-ბენნი შეიმოწმებს ამერიკის კომპანიების საქმიანობა ინგლისში.

ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებულ შტატებს, რომლებიც აბრძოლებენ აბრსიას ვიეტნამში, დემაგოგიური განცხადებით ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე შეცდომაში შეჰყავთ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი... (გაზეთებიდან).



— ასე უფრო მეტ ჯარისკაცს „გამოვიყვანთ“ ვიეტნამიდან, ვიდრე პრეზიდენტის ოფიციალური ბრძანებით.

ნახატი გერმანულ გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელის აგრესიულ მოქმედებას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. ვიეტნამელი ხალხი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, აღშფოთებას გამოთქვამენ ისრაელ აგრესორთა, ამერიკის შეერთებული შტატების დამჭაშთა დანაშაულებრივი მოქმედების გამო და დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს პროვოკაციული მოქმედება არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ბოლო მოუღოს ტერორის აქტებსა და რეპრესიებს ისრაელის ჯარების მიერ ოკუპირებული რაიონების არაბი მოსახლეობის მიმართ. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ისრაელმა მთლიანად და უპირობოდ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან და ზუსტად დაიცვას არაბული ქვეყნების ახალხთა ეროვნული უფლებები ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე, წერს „ლუმანიტე-დიმანშის“ საგარეოპოლიტიკური მიმომხილველი ივ მორო, მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში ვერ დამყარდება, სანამ ისრაელი არ გაიყვანს თავის ჯარებს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

ᲡᲝᲤᲘᲐ, 16 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ [illegible] თქვამს აბუ-ზაადელის ქარხანაზე ისრაელის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმის გამო.

ბულგარელი ხალხი, ნათქვამია დეპეშაში, სასტიკად გმობს ისრაელ აგრესორთა დანაშაულებრივ მოქმედებას, რომლებიც იმპერიალისტების მხარდაჭერით განაგრძობენ პროვოკაციებს არაბ ხალხთა წინააღმდეგ.

ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲢᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი დაბრუნდა სამხრეთ ვიეტნამში საინსპექციო მოგზაურობიდან. როგორც პრესა იუწყება, ლეირდთან საუბარში საიგონის მარიონეტული რეჟიმის მეთაურმა თხეიუმ ითხოვა ამერიკის მხარდაჭერის გაფართოება.

როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ლეირდმა პრეზიდენტ ნიქსონისათვის მოსახსენებლად მოამზადა „ოპტიმისტური“ ანგარიში, თუ როგორ მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაცია“, რომელიც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს აგრესიის გაგრძელებას იმ გზით, რომ სამარი ოპერაციების ტვირთი დააკისრონ საიგონის მარიონეტულ არმიას.

ასეთი რეკლამირება „ვიეტნამიზაციისა“, რომლის საშუალებითაც ამერიკის მთავრობა ცდილობს შეასუფთაოს ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, აქ არავის გაკვირვებია.

ვაშინგტონში ჩამოსვლის შემდეგ ლეირდი პრესის წარმომადგენლებისადმი გადაცემულ განცხადებაში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს კვლავ „მარცხი“ ელის ვიეტნამში. მას ამჟამადაც კონკრეტული არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როდის გამოიყვანენ ამერიკის ჯარებს ვიეტნამიდან.

ამერიკის საზოგადოებრიობა შეაშფოთა საიგონში ლეირდის განცხადებებმა, რომლებშიც იგი ადასტურებდა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მიმოხილველთა აზრით, ლეირდის მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დადასტურა ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის აგრესიული ხასიათი.

ᲛᲤᲐᲠᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ნიუ-იორკში წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას რესპუბლიკელთა ლიდერმა ჯ. ფორდმა მოითხოვა გაფართოვდეს ტელ-ავივის მხარდაჭერა და მჭიდრო „მეგობრობა“ დამყარდეს შეერთებულ შტატებსა და ისრაელს შორის.

მან, არსებითად, მოითხოვა გაგრძელდეს ტელ-ავივისათვის ამერიკის სამხედრო მიწოდება „საჰერო ბალანსის“ შენარჩუნების საბაბით. ფორდმა ხაზგასმით აღნიშნა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ უნდა დაუშვას, რომ ახლო აღმოსავლეთში ძალების სამხედრო ბალანსი ისრაელის საზარალოდ შეიცვალოს. მან განაცხადა, რომ ეცდება ვაშინგტონსა და ტელ-ავივს შორის შეიქმნას კავშირგაბმულობის პირდაპირი ხაზი მათი პოზიციების კოორდინაციისათვის.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ᲙᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ პრესის საგენტო სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყება, რომ ნახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა საბრძოლო ოპერაციების დროს მიმდინარე წლის იანვარში კუანგნგაის პროვინციაში მწყობრიდან გამოიყვანეს და ტყვედ წაასხეს სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული არმიისა და ამერიკის ჯარების 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოგდეს 12 თვითმფრინავი, მოსპეს რვა ქვემეხი, 18 ავტომანქანა და ორი ტყვიაფრამლის საწყობი. მოწინააღმდეგეს დაუხოცეს და დაუჭრეს 400-ზე მეტი კაცი, მოუსპეს 80 ავტომანქანა და რამდენიმე ქვემეხი ტეინინის და ბინლონგის პროვინციებში. წარმატებითი საბრძოლო ოპერაციები განახორციელეს ახალხო ძალების ქვეგანაყოფებმა კუანგნგის პროვინციაში.

(საკდესი, 15 თებერვალი).

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი დაბრუნდა სამხრეთ ვიეტნამში საინსპექციო მოგზაურობიდან. როგორც პრესა იუწყება, ლეირდთან საუბარში საიგონის მარიონეტული რეჟიმის მეთაურმა თხეიუმ ითხოვა ამერიკის მხარდაჭერის გაფართოება.

როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ლეირდმა პრეზიდენტ ნიქსონისათვის მოსახსენებლად მოამზადა „ოპტიმისტური“ ანგარიში, თუ როგორ მიმდინარეობს ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაცია“, რომელიც, როგორც ცნობილია, მიზნად ისახავს აგრესიის გაგრძელებას იმ გზით, რომ სამარი ოპერაციების ტვირთი დააკისრონ საიგონის მარიონეტულ არმიას.

ასეთი რეკლამირება „ვიეტნამიზაციისა“, რომლის საშუალებითაც ამერიკის მთავრობა ცდილობს შეასუფთაოს ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, აქ არავის გაკვირვებია.

ვაშინგტონში ჩამოსვლის შემდეგ ლეირდი პრესის წარმომადგენლებისადმი გადაცემულ განცხადებაში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს კვლავ „მარცხი“ ელის ვიეტნამში. მას ამჟამადაც კონკრეტული არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როდის გამოიყვანენ ამერიკის ჯარებს ვიეტნამიდან.

ამერიკის საზოგადოებრიობა შეაშფოთა საიგონში ლეირდის განცხადებებმა, რომლებშიც იგი ადასტურებდა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მიმოხილველთა აზრით, ლეირდის მოგზაურობამ კიდევ ერთხელ დადასტურა ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის აგრესიული ხასიათი.

ᲛᲤᲐᲠᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ნიუ-იორკში წარმომადგენელთა პალატაში გამოსვლისას რესპუბლიკელთა ლიდერმა ჯ. ფორდმა მოითხოვა გაფართოვდეს ტელ-ავივის მხარდაჭერა და მჭიდრო „მეგობრობა“ დამყარდეს შეერთებულ შტატებსა და ისრაელს შორის.

მან, არსებითად, მოითხოვა გაგრძელდეს ტელ-ავივისათვის ამერიკის სამხედრო მიწოდება „საჰერო ბალანსის“ შენარჩუნების საბაბით. ფორდმა ხაზგასმით აღნიშნა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ უნდა დაუშვას, რომ ახლო აღმოსავლეთში ძალების სამხედრო ბალანსი ისრაელის საზარალოდ შეიცვალოს. მან განაცხადა, რომ ეცდება ვაშინგტონსა და ტელ-ავივს შორის შეიქმნას კავშირგაბმულობის პირდაპირი ხაზი მათი პოზიციების კოორდინაციისათვის.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 16 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის ფედერაციული რეზერვის ბანკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ა. ბერნსმა [illegible] ამერიკის ეკონომიკა [illegible] ინფლაციასთან ბრძოლაში [illegible] ეკონომიკურ [illegible] ბანკი [illegible] ინფლაციასთან [illegible] ეკონომიკა [illegible] ინფლაციასთან [illegible] ეკონომიკა [illegible] ინფლაციასთან [illegible] ეკონომიკა

საქართველოს ამბავი და ჩვენები

ტანკერის პირველი რეისი

ზორეული ნაოსნობის შემდეგ მშობლიური ქვეყნის ნაპირებს დაუბრუნდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფლაგმანი — ტანკერი „ნიკოლოზ ბარათაშვილი". ეს იყო ტანკერის პირველი პასუხსაგები რეისი. მისმა ეკიპაჟმა გადოცდა ფრიადზე ჩაბარა, ბიჯაის ყურეში წარმატებით გაართვა თავი ცხრაბალიან ღელვას და ვადაზე ადრე ჩაიტანა 21.686 ტონა ნავთობპროდუქტები საფრანგეთის ნავსადგურ ჰავრში.

ჩინებული კოლექტივი ატარებს ახალ ტანკერს, რომელსაც გამოცდილი მეზღვაურები კაპიტანი ი. ნიკოლაევი, მისი უფროსი თანაშემწე ზ. გოგიტიძე და პირველი თანაშემწე ა. კვიკვიძე ხელმძღვანელობენ.

ეკიპაჟი ლენინურ შრომითი ვახტზე დგას და გულმოდგინედ ეზადება მეორე რეისისათვის. შორეული ჰამბურგისაკენ. მანამდე კი ტანკერი საკაბოტაჟე რეისს შეასრულებს — ნოვოროსიისკიდან ბათუმში ჩავა.

თ. ფიფია,
ტანკერ „ნიკოლოზ ბარათაშვილის" ეკიპაჟის წევრი.

სეისმური სადგური

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის განაპირა უბანში დამთავრდა ერთი უნგრეული ბეტონის გვირაბის მშენებლობა. მალე ამ მიწისქვეშა გამონაშენებრივში გაიხსნება ახალი ავტომატური სეისმური სადგური. ამჟამად აქ მიმდინარეობს ზუსტი იარაღებისა და ხელსაწყოების დამონტაჟება.

სპეციალური დანადგარი — სეისმოგრაფი შეიგრძნობს ყველა მიწისქვეშა ბიძგის სიგნალს და ადგილდგილს ამს, ამასთანავე ჩაიანიშნავს ბუნების ამ მოვლენის ზუსტ დროს.

სადგური კარგ სამსახურს გაუწევს მეშახტეებს სამთო დარტყმების შედეგად წარმოშობილი ბიძგების სიმძლავრის დადგენის საქმეში.

ა. ჟუთათელაძის ემემორიალური საღამო

14 თებერვალს თბილისის სამხატვრო აკადემიის საატრო დარბაზში გაიმართა საქართველოს სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ა. ჟუთათელაძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადების 70 წლისთავსა და შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თვალსაჩინო მხატვარ-პედაგოგის, ახალგაზრდა თაობის აღმზრდელის ა. ჟუთათელაძისადმი ღირსშესანიშნავი თარიღის მოსალოცავად მოვიდნენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, მეგობრები, მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი, ყველა თაობის მხატვრები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. დვალიშვილმა.

მოხსენება ა. ჟუთათელაძის შემოქმედებითი გზისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მ. დუდუჩავამ.

რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების სახელით ა. ჟუთათელაძეს მიესალმნენ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ზ. ლომაია, პოეტი ბ. კალაძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ო. ბერდაღლი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანსარაძე.

ა. ჟუთათელაძეს ღირსშესანიშნავი თარიღი გუთობილად მიეულოცეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. ლორთქიფანიძემ. საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ბოზიაშვილმა, საქართველოს სახალხო მხატვრებმა ნ. კანდელაკმა, შ. ფაბიასვილმა, ვ. კუზლაკმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვრებმა რ. ფუცაქირიძემ, ბ. ქართველიშვილმა, პროფესორმა ა. ფორთოლმა, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ი. მელქაძემ, პროფესორმა ბ. ცეცხლაძემ, სტუდენტმა ო. კაპანაძეშვილმა, აგრეთვე გორის, ქუთაისის, თელავის სამხატვრო სასწავლებლების, მცხეთის ეროვნული ფაბრიკის წარმომადგენლებმა.

ა. ჟუთათელაძის სახელზე მიღებულია მოლოცვები სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მ. შურცუფასაგან, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ნ. ტომსკისაგან, მოძმე რესპუბლიკების მხატვართა კავშირებისაგან.

ა. ჟუთათელაძემ გულოთადი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ ყურადღებისათვის.

საღამოს დასასრულს გაიმართა სამხატვრო აკადემიის თვითმოქმედი კოლექტივის კონცერტი. (საქდისი).

გაიხსნა ინტერნატი

შუახევი. (საკ. კორ.). მთის სოფლებში ზოგჯერ ერთი უბანი მეორისაგან ისეა ღრმა ხევით გაყოფილი, რომ რამდენიმე კილომეტრის შემოვლაა საჭირო, ადამიანთ სოფლის ცენტრს რომ დაუკავშირდეს. ეს განსაკუთრებით ძნელია მოსწავლისათვის. ასეთი მდგომარეობა იყო სოფელ ნაფარეულის რვაწლიანი სკოლის მიკრორაიონში.

მოსწავლეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყდა სკოლასთან გახსნილიყო ინტერნატი. და აი, დაკრეფილი წესით აიგო 10 ოთახიანი შენობა.

კარგ ღონისძიებას შედეგიც სანიმუშო მოჰყვა. მინიმუმამდე შემცირდა დაკლება-დაგვიანები. გაიზარდა სკოლაში აკადემიური წარმატება.

ახალი ფაბრიკა

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ობიექტებს ახლახან შეემატა კიდევ ახალი ობიექტი — ქიმიური წმენდის, ღებვისა და რეცხვის ფაბრიკა.

ქალაქის მოსახლეობას, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა დაწესებულებებს ფაბრიკა შეუფერხებლად ემსახურება.

მეგობრის ხსოვნას

გარდაიცვალა ოცდაოთხ წლამოსილი ჟურნალისტი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, სკკპ წევრი 1931 წლიდან, პერსონალური პენსიონერი **დავით ვარდენის-ძე დუმბაძე.**

დ. დუმბაძე დაიბადა 1897 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში.

ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1919 წელს დ. დუმბაძე შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დ. დუმბაძე მუშაობს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში, რევკომის ყოველდღიურ გაზეთ „უშყებებში" პასუხისმგებელ მდივნად და რედაქტორის მოადგილედ. 1922 წლიდან შვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად.

წლების მანძილზე იგი გაზეთ „საბჭოთა აჭარის", რედაქტორია, შემდეგ აჭარის სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნებათა საქმის სამმართველოს უფროსი. სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა განათლების სახალხო კომისრის მოადგილედ, გაზეთების „იზვესტიისა" და „კომუნისტის" წარმომადგენლად აჭარის სსს რესპუბლიკაში, იყო საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე. 1949—1955 წლებში იგი „ლიტერატურული საქართველოს" [illegible] კორესპონდენტი, საქართველოს [illegible] ... ხელმძღვანელი. [illegible] ... „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის მოადგილე და მთავარი რედაქტორია.

სხვადასხვა დროს დ. დუმბაძე იყო აჭარის სსსრ კაცის წევრი, აჭარის სსსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრი.

დ. დუმბაძე ავტორია ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული რამდენიმე წიგნისა და კინონარკვევისა. მისი პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები, ფეიეტონები იბეჭდებოდა გაზეთებში „კომუნისტში", „ზარია ვოსტოკაში", „საბჭოთა აჭარაში", „იზვესტიაში". მან თარგმნა რუსი და უცხოელი მწერლების რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები.

დ. დუმბაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით.

ქართული კულტურის უანგარო მოღვაწის დ. დუმბაძის სახელს მუდამ მოიგონებენ ისინი, ვინც იცნობდა და ვისაც ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი,
საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირი.

მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებში

სტუმრად საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსთან

ოთხი ათეული წელია, რაც ა. კაჭარავამ თავისი ბედი ზღვას დაუკავშირა. რამდენი შრომითა და ბრძოლით აღსავსე დღე გაუტარებია მასთან ჰიდილში. განსაკუთრებით დაუვიწყარია დიდი სამამულო ომის წლები. ა. კაჭარავას სახელთან არის დაკავშირებული ყინულმჭრელ „ალექსანდრე სიბირიაკოვის" უთანასწორო, შაგრამ გმირული ბრძოლა ფაშისტური ავერმანის კრეისერ „ადმირალ შეერთან". ეს მოხდა 1942 წელს ჩრდილოეთ მიწის რაიონში.

წარსული ისტორიის კუთვნილება გახდა, გადაიფურცლა სისხლით დაწერილი მატიანე. ცხოვრებამ დღის წესრიგში ახალ-ახალი ამოცანები დააყენა.

და აი ანატოლი ძალოლნეს არ იშურებს, რომ საქართველოს სანაოსნოს მრავალათასიან კოლექტივთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის საზღვაო ტოტის, ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შეიქმნა, რაც სამიოდე წლის წინათ მოხდა, ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ ღონისძიებით საქართველო ოფიციალურად ჩადგა მსოფლიოს საზღვაო სახელმწიფოთა შორის. ახალმა სანაოსნომ წარმატებით განვლო საორგანიზაციო პერიოდი და თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა. იგი ყოველწლიურად იზრდება და ფრთებსა ბლის.

როცა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის კაბინეტში შეიდენთ, ანატოლი მზის სხივების მსგავსად წითელი ხაზებით გადაესვლილ მსოფლიოს რუკას დასცქერით. წითელი ხაზები ბათუმიდან ოცდაათზე მეტ ქვეყნისაკენ მიემართებოდა.

სანაოსნოს უფროსს მისალის მიზანი გავიგეთ.

— სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, — თქვა ა. კაჭარავამ, — დიდი როლი აკისრია საზღვაო ტრანსპორტს. ახალშექმნილ საზღვაო სანაოსნოს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ დააკისრეს პასუხსაგები ამოცანა უზრუნველყოს სატრანსპორტო ფლოტის, აგრეთვე ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავსადგურების, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული გემთშესაკეთებელი საწარმოების გამართული მუშაობა.

ახალშექმნილი სანაოსნოსათვის განსაკუთრებით რთული და პასუხსაგები იყო 1968 წელი, როგორც დამოუკიდებელი არსებობის პირველი სრული წელი. იმავე წელს სანაოსნოს ფლოტი და ნავსადგურები დაგვიანებულ და ეკონომიური სტიმულირების ამაღალ სისტემით მუშაობას შეუდგნენ. ახალმა სანაოსნომ, როგორც იტყოდნენ, ახალგაზრდული ენერგიით შეუტია საქმეს, და წარმატებაც მნიშვნელოვანი მოვიპოვეთ. წლის ბოლომდე სახელმწიფოს დაეგემილთან შედარებით ორჯერ მეტი მოგება მივიკეთ. ფლოტი მთელი წლის მანძილზე რიტმულად მუშაობდა. მეორე კვარტალში სანაოსნოს კარგი მუშაობა აღნიშნა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ. წარმატებამ ახალი ენერგია შეგვმატა, და აი მეოთხე კვარტალში სანაოსნო საკავშირო მასშტაბით მეორე ადგილზე გამოვიდა.

სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ იყო გაშლილი სანაოსნოს ყველა ნავსადგურში. ტანკერებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა „კიროვის" ეკიპაჟი (კაპიტანი ი. ჯიბლაძე). მან ოთხსავე ვაჭარობაში პირველი ადგილი დიკავა და სანაოსნოს გარდამავალი დროშა შეინარჩუნა. ტანკერ „ილიასლავის" ეკიპაჟი 1969 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე გახდა. გამარჯვებულთა შორის იყვნენ ტანკერები „ალაგირი" (კაპიტანი ი. ჯინჭარაძე), „ზურგბანელი" (კაპიტანი ნ. ბაბლია) და სხვები.

ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე წარმატებებს აღწევენ სანაოსნოს ნავსადგურები. სამივე ნავსადგურმა შარშან გადაჭარბებით შეასრულა ტვირთის გადამუშავების გეგმა. ფოთის ნავსადგურის მუშაკებმა შრომის ნაყოფიერება დაეგემილთან ორჯერ მეტად გაზარდეს.

წარმატებების მიუხედავად შარშან სანაოსნოს საქმიანობაში ნაკლეკი გვქონდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ალმოფხვრილი არ იყო გემებისა და ვაგონების მოცდენა, სრულყოფილად არ არის ორგანიზებული მისაბმელი ოპერაციები.

რაც უფრო იზრდება ფლოტი, რაც უფრო ფართოვდება ტურის რაიონები, შრომა უფრო სახალისო ხდება. მომდინარე წლის დამდეგისათვის საქართველოს სანაოსნოში 29 ხომალდი ირიცხებოდა. ტონაჟით ის აღემატებოდა ისეთ დიდ პორტებს, როგორიც არის ესტონეთის, კამჩატკისა და სახალინისა. საახალწლოდ რამდენიმე ხომალდი შეგვემატა. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შესანიშნავი ტანკერი „ნიკოლოზ ბარათაშვილი", რომელიც ახლა შემოვიდა ჩვენს ნავსადგურში. იგი ჩვენთვის ააგეს იუგოსლავიელმა მეგობრებმა. „ნიკოლოზ ბარათაშვილი" საქართველოს სანაოსნოს ფლაგმანი გახდება.

ცხოვრებამ დაამტკიცა საქართველოს სანაოსნოს უდიდესი მნიშვნელობა. შექმნიდან სამიოდ წლის განმავლობაში ჭეშმის ზევით სამშობლოს მივეკიცით 1.640 ათასი მანეთი.

საგულისხმოა ასეთი ფაქტიც: ჩვენი სანაოსნო პირველ ორ წელიწადს ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული კადრებით იყო დაკომპლექტებული. სანაოსნომ იზრუნა, რომ ჭყოლოდა ადგილობრივი კადრები. ქართველი ახალგაზრდობა ხალისით მიდის საქართველოს სანაოსნოს საწარმოებში და გემებზე სამუშაოდ. ახლა კადრების 70 პროცენტი ადგილობრივია. სანაოსნოსათვის სპეციალისტებს ამზადებენ ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, სოხუმის, ფოთისა და ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლები.

მოპოვებული წარმატებები განპირობებულია მეზღვაურების, მენავსადგურეებისა და სანაოსნოს სახმელეთო ორგანიზაციების მუშაკთა მამაცური შრომით. გემების ეკიპაჟებმა მაღალნაყოფიერად იმუშავეს შარშანაც. მოწინავეთა რიგები შეავსო ისეთი ტანკერების ეკიპაჟებმა, როგორიც არიან „მაშტაგი", „ანაკლია", „ნეფტეგორსკი", „აკტაშა".

წელს ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ფლოტის ტექნიკური პროგრესის ასამაღლებლად, გემების ექსპლოატაციის გასახანგრძლივებლად, ტვირთის ნაკადის გასაზრდელად. გემების დამუშავების დგეგმილი დროის შესამცირებლად. ახალ წარმატებებს დიდად შეიწყობს ხელს ისიც, რომ ახლანან მივიღეთ ორი მცურავი სახელოსნო და 10 ათასი ტონა წყალწყვის მცურავი დოკი. ამიერიდან პროფილაქტიკურ-ტექნიკური რემონტი ჩვენს სანაოსნოში მოეწყობა. აგრეთვე წელს დაეგემილია მივიღოთ 9 ხომალდი ასი ათას ტონამდე წყალწყვისა.

ეჭვი არ არის, — თქვა დასასრულ ა. კაჭარავამ, — საქართველოს სანაოსნოს მრავალრიცხოვანი კოლექტივები, ლენინურ ვახტზე რომ დგანან, წარმატებით შეასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში ღირსეულად ატარებენ ჩვენი სამშობლოს ალაგს.

ახალ წარმატებებს ვუსურვებთ საქართველოს ზღვაოსნებს!

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ხელმოწერა: საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ა. კაჭარავა.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

ფინალისტები

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის თასის გათამაშება შაიბაში ჰოკეიში. პირველი ნახევარფინალური შეჯიბრება შედგა კვირას მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დინამოს „დინამოს" გუნდებს შორის. გათამაშეს დინამოელებმა ანგარიშით 4:3

გუშინ გაიმართა მეორენახევარფინალური შეჯიბრება მოსკოვის „სპარტაკისა" და ლენინგრადის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. წარმატება „სპარტაკს" ხვდა 10:7.

ამრავად, სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ მოსკოვის „დინამოსა" და „სპარტაკის" გუნდები.

გაღადეაშლმა პარტიამ უნდა გადაწყვიტოს

დუბნაში ფინიში აქვს სტუდენტთა საკავშირო ჩემპიონატს ბადრაკში. ოცი გათამაშდა უკანასკნელი ტური მაგრამ ყველაფერი ცხადი რიდია. ბევრი რამ არის დამოკიდებული გადადებული პარტიების დამთავრებებზე. თუ რ. ვაგანიანი შეძლებს რომანიშინთან გადადებული პარტიის მოგებას, იგი ჩემპიონი გახდება და თუ ყაიმს დასჯერდება, პირველ ადგილს ერთბაშად რამდენიმე მოკადრაკე გაიყოფს.

ვერც „ბიშლეტმა" გაგვახარა

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნელ ვანდელ სპორტული ზეონი საბჭოთა ჩეაროსნული მოცეკურავე ვიეტბისათვის არასახარბიელო აღმოჩნდა. სამუხარად, ევროპის ჩემპიონატმა იმედი არ გაგვიმართლა, წინ იყო მსოფლიო პირველობა ნორვეგიაში „ბიშლეტის" სტადიონზე, მაგრამ აი არც ამ ასპარეზობამ მოგვეტანა სასურველი შედეგი.

საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველ დღეს 500 მეტრზე რბენის შემდეგ ვალერი ლეგრუშკინი მხოლოდ 21-ე იყო, ხოლო იური ტემაშევი — 22-ე. მართალია, ასეთი ცუდი სტარტის შემდეგ ჩვენმა მოცეკურავეებმა ნაწილობრივ გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ მრავალეტიდნი მათ მიერ ნაჩვენები შედეგები — მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე ადგილები თავისთავად მეტყველებს ჩვენი მოცეკურავეების სპორტულ ფორმაზე.

ვინ იყვნენ „ბიშლეტის" გმირები?

აქ ყველაზე მეტი წარმატება ხვდა ჰოლანდიელ სპორტსმენს არდ სხენეს. მან ყველა დისტანცია ჩინებულად გაიარა. 1.500 მეტრზე კი ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2.04.4. ა. სხენეი აღიარებულ იქნა მსოფლიოს ჩემპიონად. მისი შედეგია 173,487 ქულა.

ვერცხლის პრიზიორი გახდა ნორვეგიელი მაგნე ტომასენი, ბრინჯაოსი — ჰოლანდიელი კეეს ფერკერკი.

ჩეხოსლოვაკიის მაღალმთიანი ტატრები დიდ ასპარეზობათა არენა გახდა. სწორედ აქ მოიყარეს თავი თოთქმის ყველა კონტინენტის საუკეთესო მოთხილამურეებმა, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა.

ბრეიტნერმან ვახსნის ესწრებოდნენ — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გუსტავ ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ლუდვიკ სვობოდა, მთავრობის თავმჯდომარე ლუბომირ შტროუგალი და ჩეხოსლოვაკიის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. მონაწილეებს მიესალმა ლ. სვობოდა.

ასპარეზობის პირველი დღე დათმობილი ჰქონდათ თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელებს. ოლიმპიური ჩემპიონი ლენინგრადელი ვ. ბელიაუსკი ბოლო ადგილზე გამოვიდა. იგი გადახტა 81,5 მეტრზე, ხუთივე მსაჯმა კარგი შეფასება მისცა და ხელთ იყო ლიდერობა, მაგრამ აი მეორე ნახტომის შესრულებისას მისი შედეგი უარესი გამოდგა და საერთო ჯამში 231,8 ქულით, მხოლოდ მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდა.

სამაგიეროდ უკეთესად გამოვიდა მეორე საბჭოთა მოთხილამურე ვ. ნაპალკოვი. მართალია, იგი პირველი ნახტომის შემდეგ მეათე იყო (78,5 მეტრი), მაგრამ მეორე ნახტომი ბრწყინვალედ შესრულა, აჩვენა შედეგი 84 მეტრი და 240,6 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ვ. ნაპალკოვი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. ვერცხლის მედალი მოიპოვა იაპონის წარმომადგენელმა იტაია კასაიამ, ბრინჯაოსი — ნორვეგიელმა ლარსა გრინმ. ჩვენი ქვეყნის მესამე წარმომადგენელი ვეტერანი კობა ფაქაძე 23-ე იყო, ხოლო მეოთხე წარმომადგენელი ალექსანდრე ივანიკოვი — 34-ე.

მოახლოებული ფინალი

ახლოვდება ახალი სპორტული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ასპარეზობა ხელბურთში — მსოფლიოს პირველობის გათამაშება ვეიეთ გუნდებისათვის, რომელიც სფარანგეთში შედგება. დასკვნითს ასპარეზობას წინ უძღოდა წინასწარი შეხვედრები, რომლებმაც ოქროსმაძიებელთა რიცხვი 26-დან 16-დე დაიყვანა.

ეს თექვსმეტი ნაკრები დაყოფილია რთულ ჯგუფად. პირველში შევიდნენ — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ნორვეგიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები, მეორეში — ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელბურთელები, მესამეში — რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთისა და შვეიცარიის ნაკრებები, მეოთხეში — დანიის, უნგრეთის, პოლონეთისა და ისლანდიის გუნდები.

დიბულებით მეოთხედფინალში გავა ჯგუფებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი, შემდეგ კი ასპარეზობა გაგრძელდება ოლიმპიური სისტემით.

წლევანდელი ჩემპიონატის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ რვა უძლიერესი კოლექტივი იბრძოლებს არა მარტო პირველი-მეორე ადგილისათვის, არამედ 1972 წლის ოლიმპიური ასპარეზობის საგზურისათვის. ხელბურთი კი მომავალი ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამაში პირველად იქნება შეტანილი.

ოქროს სტარტები ტატრებზე



ჩეხოსლოვაკიის ტატრები ... ...